№ 278
ხუთშაბათი, 23 დეკემბერი 1893

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1893

# ივერია

№ 278
ხუთშაბათი, 23 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ქეთევან ადამის ასული კოჩიაშვილისა, ნატალია იოსების ასული და ანასტასია იოსების ასული ფორაქაშვილისანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი დისა თვისისა ხოლო მეორენი თვისის მულის **ნატალია ადამას ასულის სულხანიშვილის** გარდაცვალებას, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პანაშვიდზედ 22 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, სახლი № 2. გასვენება მიცვალებულისა და დასაფლავება 23 დეკემბერს დილის 10 საათზედ წმ. მარინეს ეკკლესიაში. (2—2)

„ივერია“
გამოვა 1894 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
თხზულებანი
**ალ. ყაზბეგისა**

| | | |
|---|---|---|
| ოთხი ტომი ფასი თითო | | მან. კაპ. |
| ტომისა | . . . . | 1—20 |
| კარგ ქაღალდზედ | . . | 2 „ |
| მშვენიერის ყდით | . . | 2—50 |

იქავე ისყიდება ალ. ყაზბეგის
**სურათი**
და ყოველი ქართული წიგნები.
(3—1)

[illegible]
ალექსანდრე ყაზბეგისა
დაიბეჭდა დემუროვის ლიტოგრაფიაში და დაურიგდა ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიას
[illegible]
ვინც 20 ცალს ან მეტს დაიბარებს, დაეთმობა ერთი მეხუთედი ფასი სურათისა.
ადრესი: Тифлисъ, Чугуреты, Гончарная, М. Тоидзе.
(3—3)

**ალექსანდრე ყაზბეგს**

ხანგრძლივ სენისგან წამებული
დღეს მისცემიხარ სამუდამოდ სანატრელს ძილსა,
განშორებიხარ წუთი-სოფლის ამაოებას,
მლივს გღირსებია მოსვენება ღონე-მიხდილსა.

—

ვინ იფიქრებდა, ერთს დროს ტკბილი შენი ცხოვრება
ასე წამებით უმღურთ შორის დასრულდებოდა?
ვინ იფიქრებდა, ეგ მახვილი ენა-გონება
კიდევ ცოცხალი სამს წელიწადს დადუმდებოდა?!.

—

თითქო სხვა მტერი არ კმაროდა, რომ თვით ბუნებაც
მტრად გადგეკიდა, დაგიდუმა მეტყველი ენა,
თითქოს შეშურდა, რომ ქართველთა განამხნევებდა
სულით ობოლის, მაგრამ ციურ სიმართლის სმენა.

—

შენ გარდაიცვალე მხოლოდ ხორცით, თორემ შენს სახელს
შეუნასამდე უკვდავსა ჰყოფს შენი კალამი,
სიმართლის ნიშნად თან მიგყვება იმ ნეტარ სოფელს
მომმეთა ხსნისთვის უბე-კალთა ცრემლით ნანამი.
ძიდიხარ ზეცას, უერთდები ქებულს წინაპარს,
ტანჯვით მიუზღე ცრუ სოფელსა შენ შენი ვალი;
ნაცვლად ცის დასი მოგაგებებს ბრწყინ-
შენ-კი წარსდგები სულ[illegible]
[illegible]ლით მართალი!..

—

ორსავე სოფელს სანეტარო შენი სახელი
და შენი ხსოვნა გულს აქმნება ყოველს შენს მომმეს
და მოვა დრო, რომ უფრო ღირსად ყველა ქართველი
ქება-დიდებით მოიგონებს მოხსენებისას!..

დომინიკა ერისთავი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ყაზბეგიდგან შემდეგი დეპეშა:
აურებელ ხალხის თანადასწრებით მოხევეთა მიერ გრძნობიერ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ საყვარელი სანდრო დღეს, 22 დეკემბერს, მიწას მიაბარეს. ფურცელაძე.

*** ჩვენ მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: მცხეთას, დუშეთსა, ფასანაურსა, მლეთსა, კობსა და სიონში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ყაზბეგის მოსახსენებლად. მცხოვრებნი ყველგან მოწიწებით დაუხვდნენ მიცვალებულს.

*** გუშინ შეუდგნენ მადათოვის კუნძულის ნაპირას იორდანის აგებას.

*** გუშინ შეუდგნენ დროებითის ხიდის გაკეთებას მტკვარზედ სომხთა [illegible]

*** ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე 21 დეკემბერს პეტერბურგს გაემგზავრა. ამ დღეებში [illegible] ლი ლ. ა. მაღალაშვილი, [illegible] თავის კერძო საქმეებისათვის, აგრეთვე კახეთის რკინის გზის გაყვანისა და ხიზანთა დებულების განხილვის საქმეთათვის.

*** ახალქალაქის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი დიაჩკოვ-ტარასოვი დანიშნულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის მომრიგებელ შუაკაცად ალექსი-მესხიშვილის ალაგზედ, რომელიც დანიშნულ იქმნა თიანეთის მაზრის უფროსად; ხოლო თიანეთის მაზრის უფროსი თავ. თარხან-მოურავი დანიშნულ იქმნა ახალქალაქის მაზრის უფროსად.

*** ორშაბათს, 27 დეკემბერს, დანიშნულია კრება ქალაქის საბჭოსი, რომელიც განიხილავს 1894 წლის ხარჯთ აღრიცხვას ქალაქისას. იმავ დღეს საბჭომ უნდა აირჩიოს ქალაქის მდივანი და წევრი საგუბერნიო კრებულისა ხმოსანთა შორის.

*** ქალაქის გამგეობამ უკვე დაიბეჭდინა ხარჯთ აღრიცხვა მომავალის წლის შემოსავალ გასავლისა. გამგეობის ანგარიშით, მერმის ქალაქს ექმნება შემოსავალი 851655 მანეთი, ხოლო გასავალი 851344 მანეთი, ე. ი. 311 მანეთით ნაკლები შემოსავალზედ.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რა გასაჭირშიც ჩაჰყარა ვალანიანცმა [illegible] ეხვეწეს ვალანიანცს შეემსუბუქებინა მათთვის პირობა, მაგრამ ვერა ეშველათ რა, თუმცა მთავრობამაც-კი მიიღო მონაწილეობა იჯარადართა საქმეში. ვინც მოახერხა ფულის შოვნა, შეისყიდა ვალანიანცისაგან მიწა არა და, [illegible] დაუთმოს მათ თავისი მიწა ვაგზალს ახლო, მეათე განყოფილებაში.

*** ჩვენ მივიღეთ რკინის გზის მოხელეთა შორის შეკრებილი ბ-ნ ნ. პრილედინის მიერ 16 მან. 50 კაპ. სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 390 მან. 9 კაპ. შესდგა 406 მან. 50 კაპ.

# ფელეტონი

**ბ-ნი სტ. ჭრელაშვილის კრიტიკა**

ისრე მაქვს ყური შეჩვეული ჩვენი მწერლობისაგან ჩემს უჰიგო ხსენებაზედ, რომ, როდესაც წავიკითხე ის ქება, რომელიც ბ. ჭრელაშვილმა მიძღვნა თავის ბიბლიოგრაფიულს წერილში შესახებ ჩემი მოთხრობისა «ჩვენებური საქმის ბოლო», მომაგონდა ერთი ძველებური ბერული თქმულება: „მოკითხვაც თქვენი მხაკვარ არს“. ბევრით სამჯობინოა ლანძღვა, როდესაც გლანძღამენ—არ გეუბნებიან რათა, ვიდრემ ქება, როდესაც გაქებენ—არ იცი რათა. თვით ,,ივერიის‘‘ ფურცლებზედ შეხვდებით ამგვარს ჩემს შემკობას: საჭიროა მოუაროს ჩემს მოშლილს გონებას და წავიდე შარკოსთან საწამლობლათ; ვარ გზა დაბნეული და არ ვიცი, რა მინდა და რათა ვწერ; ვარ სრული უნიჭო და გავავსე ჩვენი ბაზარი ჩემი უნიჭო წერილებით და სხვა ამისთანები. რასაც ვკითხულობთ ჩემს შესახებ ,,ივერიის‘‘ ფურცლებზედ, მასვე ვხედავთ სხვა ადგილობრივს რუსულს და ქართულს გამოცემაებში, თვით ჩემს ფიზიკურს ნაკლსაც კი ეხებოდნენ და სხვა ამგვარები. მაგრამ სრულიად ყურადღება არ მიმიქცევია ამისათვის. რომ არ გავეპასუხე მათ, და ვეპასუხები სწორედ ჩემს მაქებარს. უნდა გავეპასუხო ამ ჩემს მაქებარს მიტომ-კი არა, რომ ქებასთან ნაკლის შენიშვნა როგორ გაჰბედე მეთქი,—რადგან აქ მელისა და ზღვის ანდაზას სრული ადგილი ექნებოდა. მხოლოდ მიტომ, ჩემო მკითხველო, რომ ჯერ ერთი ესა—გავაფრთხილო თვითონ ჭრელაშვილი, რომ უფრო თავაზიანათა და სიფრთხილით მოექცეს მკითხველს, რომელიც ამას ძალა-უნებურად უნდა ენდობოდეს, რადგან არა აქვს ყველას ღონე და გარემოება შეამოწმოს ამისი კრიტიკა იმ მასალასთან, რომელსაც ეს კრიტიკა ეხება; მეორე მხრივ უჩვენო მკითხველს, რამდენი სიფრთხილე ჰმართებს ბ-ნი სტ. ჭრელაშვილის ნაწერების წაკითხვის დროს, მით უფრო, რომ ის სწერს კრიტიკას და კრიტიკასა აქვს დიდი ძალა მწერლობაში, და ეს მძიმე საქმე უტვირთებია ამისათვის პატივცემულს ,,ივერიის‘‘ რედაქციას.

ბ-ნი ჭრელაშვილი არჩევს ჩემს მოთხრობას ,,ჩვენებური საქმის ბოლო“, მოჰყავს მისი შინაარსი და ამბობს: ,,ყმაწვილობაშიაც წამიკითხავს ეს მოთხრობა და ეხლაც, ოცი წლის შემდეგ, ძლიერ გულდასმით წავიკითხეთ, მაგრამ მაინც ვერც მაშინ და ვერც დღეს ვერ შევიტყეთ მიზეზი, რათა ჰქვიან ამ მოთხრობას ,,ჩვენებური საქმის ბოლო‘‘?... ,,ნუ თუ ჩვენებური საქმის ბოლო ეგ არის, რომ ქართველი სტუდენტი შეიყვარებს შორეულს ნათესავს ქალსა, შეუდგება მის განათლებას, ცრუ-მორწმუნე სახლის კაცები ჩაჰშლიან მათს ქორწილს და ძალად ჯვარს დასწერენ ქალს ვიზედმე სხვაზედ, რომელიც ცუდი სენით მოიდნობს განათლების მაძიებელ ქალსა. სად გაგიგონიათ ასრეთი ამბავი? გინდა კიდეც გაგეგონოთ ერთი ან ორი ამისთანა ამბავი, ნუთუ შეკიძლიანთ ,,ჩვენებური‘‘ დაუძახოთ მაგ ამბავს‘‘. (,,ივერია‘‘ № 273).

დიახ, აი რა ამოუკითხავს,—თუ-კი ამოუკითხავს,—ბ-ნს ჭრელაშვილს ჩემი მოთხრობიდამ ჩვენებური საქმის ბოლოდ. ახლა დაუგდეთ ყური: ეს არის ჩვენებური საქმის ბოლოდ გამოყვანილი ამ მოთხრობაში, თუ სხვა რამე.

მე მყავს ამ მოთხრობაში გამოყვანილი ყმაწვილი სტუდენტი, გატაცებული მაღალი წმინდა აზრებით და ემზადება ამ აზრების გაყვანას ცხოვრებაში. აი როგორ უსახავს ის ამ თავის აზრთა და წყობილებათა თავის საყვარელს ქალს, რომელსაც ეგრეთვე ამზადებს ამ საქმეებისათვის: (ჩვენ. საქმ. ბოლო გვ. 44—45).

— რაკი დავასრულებთ სწავლასა, დავბრუნდებით ჩვენს დაჩაგრულს ქვეყანაში, გვექმნება სწავლის მხრივ საკმაო მომზადება, ვინ იცის რამდენი საქმე გვექმნება წინა! რამდენი კარგი საქმე შეგვეძლება, რომ გავაკეთოთ ამ ჩვენს ჯერეთ თავ-შეუდებელს და ხელ-შეუხებელს ქვეყანაში. სასწავლებლები, ამხანაგობაები, ბანკები სოფლებისათვის. ეხლა რომ საცოდავად მურტლები და ტიტვლები დაიარებიან ეს საცოდავი გლეხის ბიჭები იღლიაში სახრე ამოჩრილები და სიცივისაგან წელში წაკუზულები, შეგვეძლება სწავლით და სხვა-და-სხვა დაწყობილებაებით ამათი ამგვარი არა კაცური ცხოვრების შეცვლა. შეხედე აბა ჩვენს ბუნებას! უკეთესი განა ღმერთს კიდევ გაუჩენია რამე! ამ ბუნებას უნდა ახლა მცოდნე ხელი და შეძლებული ხალხი. მაშინ უყურე, როგორ ეხლანდელი წუმპეების მაგივრათ ჩვენს კარ-მიდამოზე, რა სუფრთა მეიდნები იქნებიან; ჭვარტლიანი სადგომების მაგიერათ, სადაც პირუტყვნი და კაცნი თითქმის ერთს საწოლზედ წვანან, იქნებიან სუფრთათ გაწყობილი, დიდ ფანჯრებიანი სუფრთა სახლები თვისის მშვენიერის ბაღჩებით! ნახე რა რიგ დამშვენდება მაშინ ჩვენი გლეხის დედაკაცი,—რომლისაც ბუნებრივი მშვენივრები და ხასიათი სრულებით დახშულან სიმურტლისა, სიღარიბისა და უშვერებისაგან,—რაკი მოიცემს ქონებასა და ისწავლის ცხოვრების გასუფრთავებასა და შეიყვარებს წიგნსა და სწავლასა. ამას ყველას უნდა მხოლოდ მხნე და თავ-გამოდებული გულის შემატკივარი მომზადებული კაცები. რამდენგანმე რომ დაიწყოს ეს საქმეები, მხოლოდ რამდენგანმე, რაკი ნახამენ სხვები მაგალითს, ყველანი წაჰბაძავენ და ისწავლიან. მადლობა ღმერთს, ჩვენ ხალხს არც გონება და არც ხალისი არ აკლია, მხოლოდ უნდათ მაგალითის დანახვება და ერთხელ

*** ბეჭდვის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორმა ფეოქტისოვმა აუწყა დეპეშით ჩვენის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს შიმანოვსკის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით საზოგადოებას ნება ეძლევა ყოველ კვირეულ გაზეთის „Кавказское Сельское Хозяйство“-ს უცენზუროდ ბეჭდვისა, ბ-ნ ა. ა. ქალანთარის რედაქტორობით. ეს გაზეთი, როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, ორის ნომრის შემდეგ დროებით შეჩერებულ იქმნა მთავარ-მართებლის განკარგულებით. ამ დღეებში დაიბეჭდება მესამე ნომერი.

*** ს. მარტვილი (სამეგრელო): 14 დეკემბერს გაზეთმა „ივერიამ“ ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა—გარდაცვალება დიდად პატივცემულ ალ. ყაზბეგისა. ამ ამბავმა ზარი დაგვცა.

19 დეკემბერს, კვირას, წირვის გათავების შემდეგ, საზოგადოების თხოვნით, მარტვილის სობოროს მღვდელმა მ. ქალაგანიძემ გადიხადა პანაშვიდი განსვენებულის ალ. ყაზბეგის სულის მოსახსენებლად; პანაშვიდს დაესწრნენ მარტვილის სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი, აგრეთვე დ. ნაოლალევის მოხელენი და მრავალი საზოგადოება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დიდად პატივცემულო ალექსანდრევ!..

*** სოფ. ბორჩხა (ართვინის ოლქი): აგერ მესამეჯერაა, რაც ბორჩხაში სამი ფურგუნი დადის სიმინდით დატვირთული, ნავებსა და დროგებს გარდა. მეფურგუნეებსა და მედროგეებს ფუთი სიმინდი მოაქვთ ექ[illegible] არ მიაქვთ ერთ აბაზზედ მეტად. საშინლად გააკვირვა აქაურები ფურგუნების დანახვამ, ყმაწვილები სულ იმის ყურებაში იყვნენ, ეს რა ვნახეთო. სამწუხაროდ ახლა ვერ უნდა ამოვიდნენ ფურგუნები და დროგები, რადგან გზებზე დიდი ტალახებია და უჭირთ ცხენებს ტალახში სიარული. თუ მართლა ფურგუნმა და დროგებმა ვერ იარა, ძალიან გაუჭირდებათ ფუხრებს თავის გატანა, ზაფხულამდის ჭირნახულის უქონლობისა გამო. აგერ სამი თვე თავდება, რაც სოფ. სინკოტამდის ფოსტის ეტლები ვერ მიდიან ბორჩხიდგან, ტალახის გამო. საფიქრებელია, რომ ბათუმიდგან ბორჩხამდისაც მოისპობა ეტლების სიარული, თუ რომ ერთი მეორეზე სამი ოთხი დღე მოვიდა წვიმა.

*** იქიდამვე: შარშან თუთუნის მყიდველი ხუთი-ექვსი კაცი მოვიდა აქა, სხვა-და-სხვა ფაბრიკის წარმომადგენელი, მაგრამ, თითქო პირი შეუკრავთო, 3—4 მანათზედ მეტს არ იძლეოდნენ ფუთში, თუმცა-კი საუკეთესო თუთუნი ამ ქვეყანაში მოდის საქართველოს სხვა ადგილებთან შედარებით. ალბად შეუტყვიათ ფუხრის გაჭირება უჭირნახულობის გამო და იციან, რომ უნდა თუ არა, ფუხარამ რა ფასად უნდა გაჰყიდის, თორემ თუ ასე არა ჰქნა, რითი არჩინოს ქალბალანა? აქაურმა ერთმა ალამ თავის გაჭირებულ მეზებლებს შარშან ხელი გაუმართა, და იმათი თუთუნები იყიდა 8 მ. 50 კ. 1600 ფუთამდე და წელს-კი 5 მან. და ერთ აბაზად გაჰყიდა, რომ გაუჭირდა. ისიც დიდის ხვეწნითა და ვედრებით. ყველა ფაბრიკის წარმომადგენელმა პირობა შეჰკრეს თურმე, რომ თუ ვინმე აქაურის სოფლელისაგან იყიდის თუთუნს და საწყალს ხალხს ხელს გაუმართავს, იმისი თუთუნი არავინ იყიდოსო. ამ გვარად როგორც თავიანთი სურვილია, ისე ჰყიდულობენ და მიაქვთ ჩალის ფასად თუთუნი.

*** სოფ. ხუმეალგა (კავკავის მაზრა): სოფ. ხუმელაგაში წითელა მოისპო, მაგრამ სამაგიეროდ ყბაყურამ იჩინა თავი. ავად ხშირად ხდებიან ყმაწვილები, მაგრამ ზარალი არა მოაქვს-რა ჯერ-ჯერობით.

ხვითო-სურდოს-კი [illegible] გაიჭირა. ხუმელაგაში ამას წინად ოთხი ცხენოსანი ქიშტი დაიქირავეს, სოფლის ყარაულად წელიწადში ოთხმოცდა-ათ თუმნად, მაგრამ, ახლა ბ-ნ ოლქის უფროსისაგან ბძანება მოვიდა, დაითხოვეთ ქიშტები, რადგანაც ეგენი სოფელში გზებს ისწავლიან და საბოლაოდ ხეირს არას დააყრიან სოფელსაო.

*** სოფ. ყადგარონი (კავკავის მაზრა) ამას წინად ყადგარონში ორმა ძმამ მოჰკლეს ერთმანეთი საქმე ასე იყო: საღამოთი უნცროსი ძმა თავის ძმისწულით ტყიდან მოვიდა. ბავშმა ხარებს საბელი მოხსნა, დაჰკეცა და გადმოისროლა ოთახის კარებისაკენ. საბელი ფანჯარას მოჰხვდა და შუშა გასტეხა. მამამ წამოავლო ჯოხს ხელი, გამოუდგა შვილს და დაუწყო ცემა. ბავშვს წაესარჩლა ტყიდან მოსული ბიძა და ცოტახანს კინკლაობის შემდეგ თავის უფროს ძმას კეტიც დაარტყა თავში; ბავშვის მამამ ხანჯალი იძრო და გაუქნია უნცროსს ძმას და მძიმედ დასჭრა. დაჭრილმაც ხელმეორედ ისე მძიმედ დასთხლიშა კეტი უფროს ძმას, რომ იქვე წაიქცია; ხანჯლით დაჭრილიც, რასაკვირველია, წაიქცა. ორივე ძმები გარდაიცვალნენ.

## დამაკვირდი

—

მაახვეთ ბავშვი, რომ სიმართლეს წმიდად იცავდეს, პატივის-მცემელი იყოს სხვისის საკუთრებისა, ცნობიერად შეიკავოს თავი ისეთის საქციელისაგან, რომელიც ცუდს გზაზედ ატარებს,—და თითონ მოერიდება სიცრუესა, ტყუილს ქურდობასა და ვალების აღებას, როგორც ისეთს ჭაობს, რომელშიაც თავისუფლად ამოსუნთქვა შეუძლებელია.

ბრუგჰამი

**

თუ ადამიანს უნდა თავისუფლება მოიპოვოს, სამართლიანი უნდა იყოს.

სენეკა

**

გარდაცვალებულნი-კი არ უნდა ვიტიროთ, არამედ ახლად დაბადებული, რადგანაც ამას წინ მოელის ცხოვრების უმადურობასთან ბრძოლა.

ევრიპიდი

## სიტყვა*),

თქმული ვალ. გუნიას მიერ.

ძმაო, მეგობარო და ერთად-ერთო სანდრო!

შავი სუდარა, სუსხიანი და მწუხარე ბუნება, საერთო გლოვა და გოდება გვამცნევს ყველას, რომ საქართველოს მნათობი, ჩვენი შუქ-მფენი მზე საუკუნოდ და სამარადისოდ ჩაჰქრა... მაგრამ არა, იგი არ გამქრალა, იგი მხოლოდ ჩვეულებრივ მთას ამოეფარა!.. მართალია, ძალზედ ბნელა, მრისხანე ბუნება ჯავრობს, საშინელი წყვდიადი გარს შემოეხვია დღეს მთელს ივერიას, მაგრამ ჩვენ მაინც გულს არ გავიტეხთ. ეგ შემხუთავი სიბნელე, ეგ შემზარავი წყვდიადი წარმავალია. შავს და ბნელს ღამეს უფრო ძლიერი განთიადი მოსდევს, ღრუბელს ამოფარებული მზე უფრო ძლიერად აშუქებს დაობლებულ ქვეყანას...

ძმაო სანდრო, შენ, ვითარცა ადამიანი, ბედს ვერ წაუსვედ და გარდაიცვალე. დიაღ, გარდაიცვალე და არ მომკვდარხარ-კი.

სიკვდილი ხვედრია ადამიანისა და იმავ დროს სამართლიანი და უდიდესი ჯილდოც... რა იქნებოდა ჩვენი სიცოცხლე, სიცოცხლე აღსავსე ტანჯვით და ვაებით, იმედებისა და გულის წადილთა გაცუდებით, განუწყვეტელის ცრემლით და კვნესით, რომ საბოლოვოდ, ცხოვრების დასასრულ მაინც არ ერგუნებია ჩვენთვის ყოვლად შემძლებელ ღმერთს სიკვდილი, ვითარცა ჯილდო, ვითარცა ნიშანი მისის უზენაესის წყალობისა ჩვენთა ტანჯვათა მოსასპობლად!..

და ეგ ტანჯვა, ეგ უსამართლო მირმწარე ცხოვრებისა, ისრე გარდამეტებით და სასტიკად არავის უგრძვნია, არავის გარდაჰხდია, როგორც შენ, დაუვიწყარო ძმაო და მეგობარო!..

შენებრ დიდი, შენებრ უანგარო, შენებრ ერთგული სხვებიც ყოფილან საქართველოში, მაგრამ შენისთანა უზომოდ ტანჯული, შენისთანა უდროვოდ წამებული და ბედ-შავი მოღვაწე ძლაპრად-ღა გასაგონია.

მუდამ გულ-ჩვილი და უწყინარი, მუდამ, ტკბილი და მოსიყვარულე, შენ ათის წლის განმავლობაში იმდენი შესძინე შენს ერს და ქვეყანას, რაოდენიც ხორციელის კაცისათვის შეუძლებელია და რის დაფასებას საუკუნესი მოუნდებიან. დიაღაც, შენი ღვაწლი დიდი იყო და იმიტომაც უზომო შრომამ, უძილო ღამეებმა, დაუცხრომელმა და ათრთოლებულმა მეცადინეობამ თან გადაგიტანა, დაგმაფრა და სულით შეგარყია. შენი სიცოცხლე ვით შენი ბოლო არა ჩვეულებრივი, ტრაგიკული იყო.

მე შენის ბედნიერების და უბედურების მოწამეს ის მიწყლავს გულს, რომ შენ ვერ მოესწარ შენს დიდებას, ქართველებისაგან პატივის-ცემას, რომლის ღირს იყავ იმ თავიდგან შენს გაუბედურებამდე...

ეხლაც ცხადად მახსოვს, როდესაც ამ სამის წლის წინად მოგიტანე სასადმყოფოში შენი თხზულებანი... რანაირის ბავშურის სიხარულით და აღტაცებით ჩაჰკურებდი შენის სისხლით და ნაღვლით ნაწერ წიგნებსა... ცხადად გხედავ, რა ბედნიერების ცრემლი წაგსკდა თვალთაგან შენის საკუთარის სურათის დანახვაზედ... მაგრამ იმ სიხარულში, ის უდიდესი ბედნიერება გვიანდა იყო...

რა დამავიწყებს შენს მუდმივ ლოცვას, შენგანვე ლექსად თქმულს

„შენ, შემოქმედო, შენ გევაჯ,
აჭყუავდეს ჩემი მხარეო,
აწ უძლურს უთხარ აღზდეგინ
დასტკბი და გაიხარეო!
ოღონდაც ჩემი ქვეყანა
კეთილზე დაამყარეო
და მაშინ თუნდა იმ წუთში
გულს მიწა მომაყარეო!“

აჰა, მეგობარო, ეს ნატვრაც აგისრულდა; გულს მიწას გაყრით, მაგრამ ნუ ჩაიტან თან საფლავში იმ უკანასკნელ ტკივილს, ვითომც შენი საყვარელი ქვეყანა ვერ აჭყუავდეს! ნუ მიეცემი შენს ჩვეულებრივს დარდს და უნუგეშობას!.. იცოდე და გჯეროდეს, რომ იმ ქვეყანას, რომელსაც ალექსანდრე ყაზბეგი ჰყავს, სწორედ ის აყვავება მოელის, რაც შენ აგრე გწადდა და გწყუროდა...

*) ეს სიტყვა ისეთის გულ-წრფელებითა და მღელვარებით იყო წარმოთქმული, რომ მსმენელთ ცრემლი მოერია და ბევრმა, მეტადრე მანდილოსნებმა იტირეს კიდეც.

რედ.

## სამძიმრის დეპეშები

ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო

ყუნევიდამ: ვსტირით ჩვენის ქვეყნისათვის გლოვად დამჯდარს და ძაძამოსილს ყაზბეგს.

ქართველები

—

პეტერბურგიდგან: ღრმად ვსწუხვართ დიდად პატივსაცემის ალექსანდრე ყაზბეგის—მოჩხუბარიძის გარდაცვალებისა გამო. იგი იყო შესამჩნევი წარმომადგენელი ჩვენთვის დიდად სასიამოვნო ქართულ ლიტერატურისა.

სომეხთ-სტუდენტები: ტერ-კირაკოსიანც, თაისიანც, ტერ-გრიგორიანც, სარქისიანც, ზავრიევი, ზავრიევი, ზავრიევი, მამალიანც, ზუბერიანც, არხიეპისკოპოსიანც, ტერ-კრიკორიანც, ხელთდაბისიან, ამი ამერდიკიან, გოზალოვ, ტერ-ოსიპოვ, ეგიაზარიანც, არღუთინსკი-დოლგორუკი, ჩიმიმოკიან, საფეტრიან, ალალაზრიანც, ბაღდასარიან, ტატურიან, ჩქნავერდიან, ევანგულოვი.

—

კვალში ჩაგდება. მერე ყველაფერი წყალივით წავა და ჩარხივით დატრიალდება.

აქ ჰხედავთ, რა აზრები, რა წყობილებანი ტრიალებენ ამ ყმაწვილი სტუდენტის თავში, მინამ დატრიალდება ცხოვრების ასპარეზზედ. ახლა დაუგდეთ ყური, რას ვხედავთ ამ ყმაწვილში, როდესაც ის შეერევა ცხოვრების მორევს. აი რას ვკითხულობთ მოთხრობაში. (ჩვენ. საქმ. ბოლო, გვერდი 93—95.)

«რა ჰქნა ვასილმა იმ თავის ცხარე აზრებისა, რომელსაც ისე მიელტვოდა და რომლისთვისაც ისე აღუძრა კატოს გული?

ვასილ დატრიალდა ქალაქში. იმის სახლის კარი ღია იყო თავის ახალგაზდა ამხანაგებისათვის. გარდა ამისა ვასილის სახლში იყო ნიადაგ ცხარე ბაასი და მუსაიფი სხვა-და-სხვა დაწინაურებული აზრების მოძრაობაზედ, რომელიც თავდებოდა კარგის ვახშამით ან ქაღალდითა.

—Это все слова!—იძახოდნენ თვითონვე ეს ახალგაზდობანი,—намъ надо дѣло! Дѣло давайте, дѣло!

და თვითონ ეს დელოს მთხოვნელები, როდესაც საქმე მიდგებოდა დელოზედ, რჩეობდნენ ისევ ლაპარაკს, რადგან ლაპარაკი და ბაასი უფრო ადვილიც არის და სასიამოვნოცა. დელოს-კი უნდოდა გასჯა, გონებისა და სხეულის შეწუხება, ფიქრი, მეცადინეობა, ბეჯითობა და სხვა სამძიმო რამეები. ამის გამო ეს ДѢЛО-ს მძახებლები თითონვე ცეცხლივით ერიდებოდნენ საქმესა და, რაკი თვითონ არ აკეთებდნენ არაფერს, დასცინოდნენ სხვის საქმის დამწყობსაც და ჰკიცხავდნენ იმ ახალგაზდობას, რომლებიც შეძლებისდაგვარად შესდგომოდნენ საქმესა. ჰკიცხავდნენ სხვებსა და თან თითონვე გაიძახოდნენ: „Дѣло давайте! дело нужно“!

ცოლი ამისი ეგრეთვე ლაპარაკობდა ცხარეთა და კარგებისას, მაგრამ საქმით იმას ყველას დიდკაცების ცნობა, მიყოლ-მოლა და მდიდრული ცხოვრება ერჩივნა. გამოსული ვაჭრის სახლიდამ ის დიდ ბედნიერებათა ჰრაცხავდა იმათთან დაახლოვებას და კავშირსა, რომლის გამოც უმართავდა ხშირათ წვეულებასა დღ შექცევაებსა. ამას უნდოდა დიდი ხარჯი. ეს ამ სიამოვნების და ბედნიერების მოსაპოებლად არ ერიდებოდა ხარჯსა ამის გამო ორი წლის უკან იმათ შემოაკლდათ საფანელი და დაუწყეს ვალებს კრეფა. ვალებითაც შორს ვერ წავიდოდნენ. იმათ უნდოდა გადახდა. ამის გამო, სახლში დატრიალების მაგივრად ბანკებისა, სასწავლებლებისა, ამხანაგობაებისა და სხვების დასაწყობლათ და გასამართავათ, რომელიც ისე ადუღებდა და აღელვებდა ვასილის გულსა და ტვინს კატოსთან გაცნობის დროს, იმან დაუწყო ძებნა სამსახურს და შეყო თავი ერთს რომელსამე სასამართლოში, სადაც მიიღო რიგიანი ადგილი, და თან-და-თან ჰპოვა, რომ ჩინოვნიკობა არ არის ისე სათაკილო, როგორც წინათა ჰქონდა ჩაგონებული და, პირიქით, შეეჩვია იმ აზრსაცა, რომ ჩინოვნიკობის გარე სხვაგან საქმე არ გარიგდებაო.

მასუკან ვასილ მიეცა თავის საქმეებს და ცოლ-შვილს, იმათ მისდევდა ახლა მარტო დიდკაცობა, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ამის ცოლს.

ვასილ, ეს ქართველი ვასილ, რომელიც თავის შეწირვას უპირებდა თავის სამშობლოს, ახლა სრულიად ქართველებსაც ძვირათა ჰხვდებოდა; და ამ თავდადებულს ქართველს შვილებიც ისე ეზრდებოდნენ, რომ ქართული ინჩიც აღარ იცოდნენ და საქართველოს ხალხი იყო იმათთვის ისეთივე უცხო, როგორც სპარსელები და იაპონელები. ცოლს ამისას არ მოსწონდა ქართველები.

ლაპარაკი-კი რომ შეგხვედროდა, ისევ ის ცხარე მოლაპარაკე ვასილ, ისევ ის მამულისა და ქვეყნის მოყვარე და ცხარის საქმის მძებნელი ვასილი იყო. ოღონდ ეს საქმე იმას ვერ ეპოვნა, რადგან წინათ, რასაცა ჰფიქრობდა იყო მხოლოდ ილიუზია და ახლა ჯერ პრაქტიკას გზა არ გაეკვლია. პრაქტიკა თავის თავათ არა ჩნდებოდა არც აქ, როგორც არა ჩნდება სხვაგან, სადაც თავათ კაცი არ ეძებს პრაქტიკას.

ჩააკვირდით მკითხველო ჯერ მარტო ამ მცირე ამოწერილებსაც საკმაო დიდი მოთხრობიდამ, და ბრძანეთ: ეთანხმება თუ არა სათაური „ჩვენებური საქმის ბოლო“ მოთხრობის ამ შინაარსს, თუ არა. ცხადია, მე აქ მომყავს ნიმუში, როგორ ლოცვა კურთხევით ვიწყობთ და წყევა კრულვით ვათავებთ. დღეს ერთს გავიძახით, ხვალ იმავე დიდს საქმეს, რომლისაც სამსახურს ვაპირებდით, ვაფურთხებთ და ვზიზღობთ, დღეს „მდევ-გმირებსა“ ვწერთ, ხვალ რეკლამებსა: დღეს ვიწყობთ საქმესა, ხვალ ჩვენი ხელითვე უთხრით ამ საქმეს სამარესა. ახლა გადაავლეთ თვალი ბ-ი ჭრელაშვილისგან მოყვანილს ჩემი მოთხრობიდამ შინაარსს, თუ მსგავსი რამე ამისი იპოვნოთ, რაც მე ამოვწერე ჩემი მოთხრობიდამ ზემოთა.

უკეთუ კრიტიკა ამ გვარს ცხადს საგანს წიგნისას ვერა ჰხედავს და კვეხულობს კი ძლიერ გულ-დასმით წაკითხე და ვერ გავიგეო,—არ უნდა ვიფიქროთ ისა, რომ ბ-ი კრიტიკი ან ტყუილათ კვეხულობს და წაუკითხავათა სწერს თავის კრიტიკულს წერილებს,—მაშასადამე ატყუებს თავსაცა და მკითხველსაც; ან, თუ კითხულობს, იმდენი შეგნება არა ჰქონია, რომ გაიგოს ის, რაც უპრალო მდაბიო უბირს მკითხველსაც ესმის,—და ამავე დროს ჰკადნიერდება და ხელსა ჰკიდებს იმგვარს მძიმე საქმეს, როგორიც არის კრიტიკა?

შესამჩნევი კვალი არ გაავლო მწერლობაშიაო. განა სადაც ასეთი კრიტიკა დაიბუდებს, იქ შესაძლებელია რაიმე კვალის გავლება მწერლობაში?

ანტონ ფურცელაძე

ცხინვალიდამ: გადავიხადეთ პანაშვიდი ნიჭიერ ბელეტრისტის ყაზბეგისათვის. საზოგადოებას უამბეს მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. საზოგადოება დიდად შესწუხდა მის უდროვო გარდაცვალების გამო.

ბლაღოჩინი კაპანაძე

—

სიღნაღიდამ: ქიზიყელნიც ცხარის ცრემლით ვსტირით უკვდავს მნათობს ჩვენის ლიტერატურისას ალ. ყაზბეგს.

მაჩხანელი

—

ბათუმიდამ: ბათუმის ქართველი საზოგადოება დიდად სწუხს და ჰგლოვობს დაკარგვას დიდად ნიჭიერ ტანჯულ ბელეტრისტისას, რომელიც გამომთქმელი იყო უუკეთილშობილესთა სურვილთა და ერის გულში ღრმად დამარხულ საიდუმლო ფიქრ-ზრახვათა. გთხოვთ გვირგვინით შეამკოთ მისი კუბო და შესაფერი სიტყვები წააწეროთ ლენტზედ. პანაშვიდი გადავიხადეთ. მამა თოთებაძემ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა.

ვოლსკი

—

ქუთაისიდამ: სამწუხარო ამბავმა ყაზბეგის გარდაცვალებისამ, მაგ ჩვენის ერის ღვთიურ გრძნობათა ნიჭიერ გამომთქმელისამ, დიდს მწუხარებაში ჩააგდო ქუთაისის ქართველი ქალები. ხსოვნა მისი სამარადისოდ იქმნება დამარხული ჩვენს გულში.

მარია ხელთუფლიშვილისა

## სია გვირგვინებისა და მათი ზედწარწერანი

ოზურგეთის მაზრის აზნაურობისაგან:

მივსტირით მამულის-შვილსა, დაუღალავსა მშრომელსა,
თვით ტანჯულს, თავის ერისთვის მარად კეთილის მდომელსა,
ნიჭითა მაღალს, სურვილით უსაზღვრო მიუწდომელსა,
მის წილ, რაც სურდა საბრალოს, სიკვდილი ერგო რომელსა.

—

ასკანის სოფლის ახალგაზდობისაგან

მთაში მღერალო მგოსანო, გისმენდა ჩვენი ბარია,
მაგრამ გვიმუხთლა სიკვდილმა, გვილეწა კეთილ-ფარია;
შენს მოხვევნთან ჩვენც ერთად დაწვენს გვილხობს ცრემლის ღვარია.
უკვდავს რას გიზამს სიკვდილი? ჩვენთვის არა ხარ მკვდარია.
შვილებს გადავცემთ: ილოცონ შენი საფლავის კარია.

—

ოზურგეთის ქართველ მასწავლებელთაგან:

„ვჰ, რაც სურდა, არ დასცალდა
შენსა წყლულსა სულისასა“.

—

თავართქილაძის წიგნის მაღაზია:

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაახჩნდების,
საშვილიშვილოდ გადაიცემის.

—

ქუთაისის მიწის მუშათაგან:

საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

—

ოზურგეთის მოქალაქეთაგან

—

სოფლის მასწავლებელთაგან:

უპირველესი სათნოება მამულისათვის თავის დადებაა.

—

აზნაურთ: გაბრიელ ფიცხელაურის, ივანე ბერეჟიანის და ასლან კვიტაშვილისაგან:

ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დარაჯს.

## კიდევ ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილის გამო.

(ხმა შორიდგან)

Какъ мало прожито, какъ
много пережито…

წარმოგიდგენიათ, რა ძნელი ასატანია, რა შემაწუხებელია ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ის მოტრფიალე, გაგიჟებით და თავდავიწყებით მოსიყვარულე გვამი, რომელიც დღე მუდამ და ყოველ საათსა თავის ძვირფასის სატრფოს განსაცდელს, უსაშუალო მწუხარებას, მისი სიცოცხლის ნელად თანდათან განქრობას უცქერის და შველას-კი ვერ აძლევს. კაცს თვისი ძვირფასი არსების ხსნა ჰსურდეს და ხსნა-კი მის ხელთ არ იყოს, იგი ამ მხრივ ხელფეხ შეპოჭილი იყოს,—ეს სწორედ მძიმე, საშინელი ყოფაა. განა იმისთანა მოტრფიალეს მდგომარეობაში არ ვიყავით ჩვენ ქართველები ერთობით, მოწმენი ალ. ყაზბეგის ხანგრძლივ და ტანჯვით სავსე უკურნებელ სენისა? დიაღ, აგერ კაი ხანია ვიცრემლებოდით, ვგრძნობდით რაღაც უბედურებას, მაგრამ ჩვენ თვალს მაინც არ ვუჯერებდით, მცირე იმედს მაინც არა ვკარგავდით ჩვენის დაუვიწყარ და მაღალ-ნიჭიერ ბელეტრისტის გამობრუნებისას… ხოლო დღეს-კი იმ ჩვენმა იმედმა უფსკრულისაკენ გასწია, ერთი ბრწყინვალე და ძალზედ კაშკაში ვარსკვ[illegible]თვის საშინელი და ღრმად სამწუხარო წამი უკვე დადგა. ის, ვინც გვიყვარდა, აღარ არის, სამუდამოდ დაგვშორდა… შორს, სადღაც შორს გაგვიფრინდა სპეტაკი, მაღალი სული ჩვენის საყვარელ, ტკბილ მოსაუბრე—მომთხრობელისა ალ. ყაზბეგისა… ჩვენ ისედაც მცირე რაზმს მწერლებისას მოაკლდა ერთი პირველთაგანი, რომელმაც მცირე ხნის განმავლობაში ისეთი დიდება, ისეთი სახელი დაიმსახურა მთელ საქართველოში, რომელიც ხვედრია მხოლოდ რჩეულთა, ესეთი-კი იყო ყაზბეგი, ეს „ზეგარდმო არსით ცხებული“ მწერალი.

მაგრამ სულმნათმა ალექსანდრემ არც ისე მოგვიძულა. ამ ქვეყნად ჩვენ დაგვიტოვა ერთი დიდი სამკვიდრებელი, რომელს არც ფულის სიმდიდრე დაედრება და არც ოქრო-ვერცხლით აიწონება. სამკვიდრებელი იგი არს სიტყვანი მის მიერ თქმულნი, „სიტყვა-კაზმული“, მშვენიერი, ღირსებით სავსე, პოეზიით შემკობილი მოთხრობანი და ამბები—აი რა „ხელის-ხელ საგომანი“ სიმდიდრე დაგვიტოვა ჩვენ უდროოდ გარდაცვლილმა ალექსანდრე ყაზბეგმა. აბა, რომელი ქართველი არ დამტკბარა სულიერად ამ სამკვიდრებელის გადათვალიერების დროს? ვინ მოსთვლის, რამდენჯერ უალრესს სიამოვნებას და განცხრომის წუთებს მისცემია ქართველი მკითხველი მის ვრცელ მოთხრობების წაკითხვის დროს? მთა, მთიულნი, პოეზიური აღწერანი კავკასიის კეკლუც ბუნებისა ზედ-მიწევნით ცოდნა ხალხის სულის ვითარებისა, კაცის შებღალულ უფლებათა დაცვა, მისი ღირსებათა გამოსარჩლება და სხ.,—ყოველი ეს მარგალიტებივით დაფანტულია მის შინაარსში. და ეხლა-კი ამ სამკვიდრებელის შემოქმედი, მისი სულის ჩამდგმელი სდუმს, ხმას არ იღებს, აღარ გვატკბობს თვისის სიტყვით…

ეგრე მოკლე ხანს იცოცხლე, მაგრამ რამდენი მწარე წუთი, სულიერი შფოთვა დაგატყდა თავს, საყვარელო მამულიშვილო! სხვისი ტანჯვა შენთვის წამება იყო, სხვისი ფიქრი-ნაღველი შენი საკუთარიც იყო, და ბოლოს ამდენ სულის ღელვას, ამდენ ვაებას ვეღარ გაუძელ და ულმობელმა სიკვდილმა, რომელსაც „გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“ ვერ დაიჭერს, შეგიპყრო კიდეც… ეხლა-კი, მშვიდობით, ძვირფასო ალექსანდრევ! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, რომელმაც უკვე სიცოცხლით დაიდგი ხელთ-უქმნელი ძეგლი! ეგეთივე ძეგლი ზედ-წარწერით: „ელგუჯა“, მამის მკვლელი“, „მოძღვარი“ აღმართულ ექმნება გულში ყოველ ქართველსაც, ვიდრე მას სული უდგა.

გრ. გველესიანი

## სამეურნეო საზოგადოება.

გუშინ, დეკემბრის 22, იყო მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ, სხვათაშორის, განაგრძო ბაასი წლევანდელ მოუსავლიანობის შესახებ. იკამათეს მიწის უნაყოფობასა და მოუსავლიანობის გაძრიელების ძირეულ მიზეზებზე. რეფერენტი, ბ-ნი ზაფაროვი, ამტკიცებდა, რომ საჭიროა სამეურნეო სასტატისტიკო ბიუროს დაარსება.

კრებამ-კი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მარტო სასტატისტიკო ცნობათა წყალობით შეუძლებელია საფუძვლიანი გამოკვლევა და შესწავლა ჩვენის მეურნეობის ახლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობისა. სასტატისტიკო ცნობათა შეკრებას უსათუოდ უნდა მოსდევდეს პრაქტიკულად შესწავლა ჩვენის მეურნეობის აწმყოსი გამოსაცდელ სადგურებზედაო. მრავალ გვარ მიზეზების გამოკვლევის შემდეგ, საზოგადოებამ ისეთი ღონის-ძიება უნდა იპოვოს, რომელიც ნებას აძლევდეს ამ ხელ შემშლელ მიზეზთ ებრძოლოს და მით ხელი შეუწყოს ამიერ-კავკასიის მეურნეობის აღორძინებასაო. კრებამ საჭიროდ დაინახა სამეურნეო სასტატისტიკო ბიუროს დაარსებაც, გამოსაცდელ სადგურებისაც, აგრონომების მოწვევაც და სხვანი და სხვანი. მაგრამ ყოველ ამის განსახორციელებლად ხარჯი და ბეძლებაა საჭირო, რომელიც ამ ჟამად საზოგადოებას არა აქვს. რადგანაც ყოველ ამ საგანზე ბევრი მასალაა მოგროვებული საზოგადოებაში და ეს მასალა გულდადებით შემუშავებული უნდა იქმნას, რომ საფუძვლიანად გავითვალისწინოთ ჩვენის მეურნეობის გაჭირვება, ამ გაჭირვებას მთავრობის ყურადღება მოვაქციოთ და დახმარება ვთხოვოთო. ამიტომ საზოგადოებამ ამოირჩია კერძო კომიტეტი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ძირეული მიზეზები მოუსავლიანობის გაჭირებისა. ეს კომიტეტი დაარსებულ იქმნა იმავე პროგრამით, რომლითაც ჰმოქმედებდა ამისთანავე კომიტეტები პეტერბურგის «Вольно-Экономическое Общество!“-სი და მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებისა რუსეთის უკანასკნელ შიმშილობის დროს. კომიტეტის წევრებად იქმნენ არჩეულნი: ი. ს. ხატისოვი, ი. ნ. კლინგენი, ა. ა. ქალანთარი, ქ. ა. ვერმიშევი, მელიქ-სარქისოვი, ს. მ. ზაფაროვი და ა. ს. ფირალოვი.

## ბეთანიშვილის ბაღი „როკვეი“ ბათუმში

ვინც ბათუმში მოვა, ვურჩევთ, ჰნახოს ეს ბაღი ბ-ნის ბეთანიშვილისა. უკეთესი ბაღი სხვა-და-სხვა ძვირფას მცენარეთა და ნაზ ყვავილთა, იშვიათი სანახავია. იქ, სადაც ეს ბაღია, ამ რამდენისამე წლის წინად ჭაობისა და ტბორეს მეტი არა იყორა. ახლა-კი ამ ადგილას ბ-ნ ბეთანიშვილს მშვენიერი ბაღი გაუშენებია. ბაღს უჭირავს ოთხ-ხუთ დესეტინამდე ადგილი, რომელიც დაუშრია კარგად მის პატრონს, შემოუზღუდვია ბუჩქით ისეთ ნაირად, რომ შიგ ჩიტიც ვერ გაძვრება. ბაღში რამდენიმე დიდი ფარდულებია გაკეთებული და ამ ფარდულებშია მრავალისაგან მრავალი ყვავილები და ნაზი, თბილის ქვეყნების მცენარენი. თითო ფარდულს აქვს 20 საჟენი სიგძე და ოთხი საჟენი სიგანე. შიგ მოთავსებულია რვა-ათასზედ მეტი მცენარე და ყვავილი ქილებითა და ქოთნებით. ბაღშია აგრეთვე ორასამდე ჩაის ბუჩქი, საფუთკრე და მარმალილოს აუზი შადრევანით, თევზებით სავსე. ბ-ნს ბეთანიშვილს მებაღობა შეუსწავლია ამერიკაში, ქალაქ როკვეის, რომელიც მეტად ლამაზია თურმე და [illegible] ჰყავს ერთი ფრანგი და ერთი იტალიელი. ამას გარდა, ყოველ-დღე ამუშავებს ათ-თხუთმეტს დღიურს მუშას. ბაღში მშვენიერი სადგომი სახლიცა სდგას, მოწყობილი ავეჯით. ბ-ნი ბეთანიშვილი ბლომად ჰყიდის ყოველ-წლივ თავის ბაღიდამ სხვა-და-სხვა მცენარეებსა და ყვავილებს, აგრედვე თესლეულობას. ბ-ნმა ბეთანიშვილმა აღუთქვა აქაურს ქართულს სკოლას, რომლის შენობასაც ეხლა აგებენ, ბაღის გაშენებას საკუთარის ხარჯით.

ზაქარია კანდელაკი

## კორესპონდენცია

—

**სოფ. მცხეთა.** კვირის, 19 დეკემბერს მცხეთის ფოსტის სადგურზე მოიკრიბა მთელმა მცხეთის საზოგადოებამ თავი განსვენებულის ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზბეგის დასახვედრად; თუმცა ცუდი დარი იყო, ღამე-ბნელი და მასთან საშინელი ჰავაი, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაყენა მცხეთელები, რომელთაც უნდოდათ ღირსეულად დაჰხვედროდნენ თავიანთ საყვარელის პოეტის გვამსა. აქ იყვნენ მთელის მცხეთის სამღვდელოება, გლეხნი და კეთილშობილნი, ქალნი და კაცნი; გვამის პატივის საცემლად მობძანდა მოხუცებული წინამძღვარი მცხეთის დედათა მონასტრისა იღუმენია ნინა თავისი მორჩილნით; იყვნენ შეგირდები მცხეთის დედათა მონასტრის სასწავლებლისა და მცხეთის სამრევლო სკოლისა და მრავალი ხალხი, იყვნენ აგრედვე აქ ჩამოსულნი გორიდგან და ახლო-მახლო სოფლიდგან მოსულნი მისის გვამის დასახვედრად.

$5^1/_2$ საათზე მოასვენეს ყაზბეგის გვამი. სამღვდელოება შეიმოსა და გადახდილ იქმნა პანაშვიდი; მღვდელმა ასათიანმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომელშიაც ცხადად დახატა განსვენებულის ბელეტრისტის მოღვაწეობა. მცხეთის საზოგადოებამ განსვენებულის გვამის კუბო შეამკო მშვენიერის გვირგვინით; ჰქონდა შემდეგი ზედ წაწერა: „დაუვიწყარს ალექსანდრე მიხეილის ძეს ყაზბეგს“ მცხეთას პანაშვიდის დროს გალობდნენ სკოლის მოწაფენი და დედათა მონასტრის მონიაზნები. ხალხს უნდოდა კუბო ხელით წაესვენებინათ მცხეთის სამზღვრამდე, მაგრამ რადგან კუბო საგზაოდ იყო დამაგრებული და ნათესავნი მისნი ეშურებოდნენ გზას, ეს ვეღარ მოახერხეს. შვიდ საათზე ეტლი, დატვირთული ძვირფასის კაცის გვამით, დაიძრა და გასწია მთისკენ.

პ. ბ.

## რუსეთი

—

რუსეთში მოგზაურობის გასაადვილებლად როგორც რუსთა, ისე საზღვარ-გარეთის მცხოვრებთათვის პეტერბურგში განზრახვა აქვთ დააარსონ განსაკუთრებული ბიურო, ისეთი, როგორც ლონდონშია გამართული კუკის ამხანაგობა. ეს ბიურო ხალხს გადაახდევინებს და მსურველს მოუხერხებს მოგზაურობას რუსეთის საუკეთესო ადგილებში. ყოველსავე წვრილმან საქმის მოწყობასა და მოგზაურთა ხელმძღვანელობას თითონ [illegible] გაზეთ „Моск. Вѣд.“-ეს [illegible]სეთსა და ფინლიანდიაში, ვოლგას მდინარეზედ, ყირიმში, შავის ზღვის სანაპიროებისაკენ და შემდეგ კავკასიაში და რუსეთის აღმოსავლეთში—შუა-აზიისაკენ.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** სენატმა ყოველ გვარი ღონისძიება იხმარა, რომ კრების დარბაზის კარებები, თუ საჭირო იქმნება, უცბად დაიკეტოს ხოლმე. პარიზის ქალაქის საპყრობილეშიაც გაიმართა ელექტრონის სხვა-და-სხვა მანქანები, რომელთა შემწეობითაც შეიძლება მთელი დარბაზი უცბად დაიკეტოს.

—

შინაგან საქმეთა მინისტრი უკვე შეუდგა პოლიციის გაძლიერებას იმ ფულით, რომელიც უკანასკნელ ბოროტ-განზრახვის გამო იქმნა გადადებული. მინისტრმა განკარგულება გასცა მთავრობის მიერ დანიშნულ იქმნენ ასობით კომისარები პროვინციებში, სადაც აქამდე პოლიციას თვით საზოგადოება ინახავდა.

—

**ინგლისი.** გაზეთი „Daily Telegraph“ იუწყება:

ზღვათა მინისტრმა გრაფ სპენსერმა დაიყოლია ზოგიერთი თავის ამხანაგნი ინგლისის ფლოტის გაძლიერებაზედ. თითქმის მთელი კაბინეტი მიემხრო მინისტრს. საქმე მხოლოდ საჭირო ფულზედ-ღაა. მინისტრებმა გადასწყვიტეს, ყოველ წლივ სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯოს ფლოტის გასაძლიერებლადაო. ხოლო ხუთის წლის შემდეგ ყოველ წლივ გადადებულ იქმნას ოთხ-მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგი; მაშასადამე, 1894—1899 წლამდე ინ-

გლისმა ფლოტის გასაძლიერებლად უნდა დახარჯოს სულ 22,500,000 გირვანქა სტერლინგი. ამ გვარად 5 წლის შემდეგ ინგლისის ფლოტი გაცილებით ძლიერი იქმნება, ვიდრე საფრანგეთისა და რუსეთის შეერთებული ფლოტები. ჯერ არავინ იცის, ამ საქმის განსახორციელებლად ახალი გარდასახადი იქმნება შემოღებული, თუ რომელსამე საფინანსო ოპერაციას მიჰმართავენ.

## თეატრის მატიანე

„სიცოცხლე“ ოთხ მოქმედებიანი პიესა ნ. ნ. პოტაპენკოსი.

ორშაბათს, 13 დეკემბერს, წარმოადგინეს ახალი პიესა პოტაპენკოსი „სიცოცხლე“. აი მოკლედ შინაარსი ამ პიესისა. სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორს ბელოზეროვს, რომელიც ცნობილია როგორც კაცი მტკიცე ხასიათისა და დიდი მოყვარული და პატივის მცემელი მეცნიერებისა, ჰყავს მრავალი მეგობარი და ამხანაგი. ერთის კარგის ოპერაციის შემდეგ ბელოზეროვი შეეჯიბრება ყველა ამხანაგთ, მეგობართ და ნაცნობთა და ყველანი შურით შესცქერიან ახალ გაზდა მსწავლულს. ბელოზეროვის ცოლს მეტად უყვარს თავისი ქმარი, მაგრამ მუდამ დაღონებული და დაძმარებულია, რადგანაც ქმარს მისთვის არა სცალიან და მთელს დღესა და თითქმის ღამესაც კლინიკაში და ავადმყოფებთან ატარებს. ქალს გართობა უნდა. იცნობს ყოთს ახალგაზდა კაცს რტიშჩევს, რომელსაც მთელი შვილი წელიწადია, რაც იგი უყვარს. დაიწყებენ ერთად ყველგან სიარულსა. ბელოზეროვის ამხანაგები ვინ იცის, რა ჭორებს არ ავრცელებენ მის ცოლის შესახებ, სწერენ უსახელო წერილებს და სხვა. ყველა ამის წყალობით ბელოზეროვი იქამდე მიაღწევს, რომ ახალგაზდა ყმაწვილ კაცს რტიშჩევს სახლიდგან დაითხოვს. ისიც ხმალში გამოითხოვს და მძიმედ დასჭრის, მძიმედ დაჭრილი ბელოზეროვი სცენაზედ მოაქვთ და იქა კვდება.

## გასართობი

ფონტენელი ამბობდა ხოლმე ლაფანტენის შესახებ: „იგი იმდენად სულელი იყო, რომ არც-კი ესმოდა, რომ გაცილებით მაღლა იდგა ეზოპსა და ლაფონტენზედ.

**

ვოლტერსა ჰკითხეს, რა განსხვავებაა სიკეთისა და სიმშვენიერის შორის. ვოლტერმა უპასუხა: „სიკეთეს დამტკიცება უნდა; სიმშვენიერე-კი დამტკიცებას არ საჭიროებს.

## გამოსადეგი ცნობა

ვერცხლისა, ოქროსა და ბრინჯაოს ფერად დაფერვა ხისა, ლითონისა და თიხისა. იყიდეთ ეგრედ წოდებული ბრინჯაოს ფხვნილი. ეს ფხვნილი სხვა-და-სხვა ფერისაა: ვერცხლის ფერი, ოქროს ფერი და მოწითანო. გახსენით ეს ფხვნილი სანდალოზში. ფხვნილი იმდენი უნდა გახსნათ, რა ფერადაც უნდა დაჰფეროთ რომელიმე ნივთი. შემდეგ პატარა ჩოთქით ეს წამალი წაუსვით იმ ნივთს, რომლის დაფერვაცა გსურთ. მერე ზევიდგან წაუსვით თეთრი სანდალოზი და ნივთი ელვარებას დაიწყებს.

იგივე დაფერვა ასეც შეიძლება; ჯერ დასაფერავ საგანს სანდალოზი წაუსვით. მერე დააყარეთ ბრინჯაოს ფხვნილი. შემდეგ მომეტებული ფხვნილი გადასწმინდეთ ჩოთქით და მერე ისევ სანდალოზი წაუსვით.

# დეპეშა

21 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ამას წინად ფინანსთა მინისტრს წარუდგა დეპუტაცია მეორე გილდის ვაჭრებისა და სთხოვა, რომ შეიწყნარეთ თხოვნა 108,000 მეორე გილდის ვაჭრისა და ნება მოგვეცით ბირჟაზედ საქმეების კეთებისაო. ფინანსთა მინისტრმა უპასუხა: „გულით მოწადინებული ვარ რუსეთის ვაჭრობის განკარგებას და აღყვავებას; გულ-დადებით გავსინჯავ სავაჭრო დეპარტამენტის მოხსენებას და მოგიხერხებთ ყოველსავე, რაც-კი კანონით შესაძლებელი იქნება. მე იმ აზრისა ვარ, რომ რუსეთის ბირჟაზედ თქვენ მეტნი არ იქმნებით“.

**პარიზი.** გაჩხრეკის დროს დიდძალი საბუთის ქაღალდები იპოვნეს; 64 კაცი დაპატიმრებულია და ჯერჯერობით არც განათავისუფლებენ; ანარხისტები დაუყოვნებლივ იქმნებიან სამართალში მიცემულნი; ორასამდე ბრძანებაა გაცემული, რომ ანარხისტების სახლი გასჩხრიკონ.

პეტერბურგის ბირჟა, 21 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,82 | 7,86 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $150^{1}/_{4}$ | 151 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 248 |
| —მეორისა . . . . | | — „ | $222^{1}/_{4}$ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | $188^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀. . . . . | $98^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . | — „ | $100^{3}/_{4}$ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | $98^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| 5°/₀. . . . . | — „ | $100^{3}/_{4}$ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $97^{1}/_{2}$ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. სად.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. სად. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. სად.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. სად.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: სად. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

გამგეობა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ თავადთ ია და ზაზა დონიკეს ძეთ ანდრონიკაშვილების მამული, რომელიც მდებარებს ტფილისის გუბერნიაში, სიღნადის მაზრაში, სოფელს ზიარში და შეიცავს სახნავს და საძოვარს ადგილებს, მიწა ზომით 518 დესიატ. 333 ოთხკუთხი საჟენი, დანიშნულია გასასყიდად შემოუტანლობისთვის სავადო და დარჩენილის გარდასახადისა.

(1—1)

29 დეკემბერს 1893 წელს, საღამოს 8 საათზედ ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ოთხის წლის ვადით 1894 წლის 1 იანვრიდგან: ზემო სართული 24 ოთახით იმ სახლში, სადაც გამართულია სასტუმრო „ქუთაისი“ და 3 დუქანი, იარმუკაში, მესამე ნაწილში. პირობათა შეიტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

## გამოსადეგ ცნობანი

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—$10^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი $12^{1}/_{2}$—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

### საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

### უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

### სათვალავი კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკით დასტამბული, უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

### სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანეიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.

### დოინნერ და ლეიტცი

ფირარდის მაღაზია

სასახლის ქუჩა, არწრუნისეული ქარვასლა

მიიღეთ:

მატყლის ქსოვილი საბნები, პლედები, შალები. ნორმალური ფუფაიკები, ჩულქები, წინდები, საჰიგიენო ფუფაიკები crêpe de santè და სხვ. დიდ-ძალი მატყლის ქსოვილი საბნები დაწესებულებათათვის, სულ იაფ ფასიდგან დაწყობილი. მსურველთ პრეისკურანტი უსასყიდლოდ გაეგზავნებათ.

2802104—101